*დანართი 1*

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,**
**სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური**
**მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144**
**ტელ: ( 032 ) 2 51 00 26**

**მ ი თ ი თ ე ბ ა №002210/შ**

**შედგენის თარიღი: 26.07.2021 წ.**

2021 წლის 22 ივლისს სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ში განსაზღვრული გონივრული ვადის გასვლის შესაბამისად განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის განმეორებითი შემოწმება 2021 წლის 17 ივნისს გაცემული N002210/ო გაცემული მითითებების შესრულების მდგომარეობის დასადგენად. სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს მიერ შესრულებული იქნა №002210/ო მითითებით გათვალისწინებული N1; N2; N3; N4; N5; N6; N7; N8 მითითება.

**სს „ნიკორა ტრეიდი" ს/კ 206255808;**
**იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მ.ქავთარაძის ქ.N11;**
**ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის 26;**
**კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა: 21;**
**დირექტორი:** [redacted]
**საკონტაქტო პირი** [redacted]
**ეკონომიკური საქმიანობის სახე: საცალო ვაჭრობა (47.11.0)**

**მითითება გაცემული იყო :**

*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტები: ,,ა", ,,ბ", ,,გ", ,,დ", ,,ვ".*
*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, მე-2 პუნქტი, ქვეპუნქტები: ,,ა", ,,ბ", ,,გ", ,,დ"; მუხლი 5, მე-3 პუნქტი; მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი ,,თ"; მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი ,,ბ".*
*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პირველი პუნქტი, ,,ბ", ,,ზ.ა"ქვეპუნქტები.*
*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი ,,ზ".*
*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 6, მ-3 პუნქტი, ქვეპუნქტი ,,ი".*
*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 5, ქვეპუნქტი ,,გ".*
*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 1 „ვ.ა" ქვეპუნქტი.*
*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 8, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი ,,ა", ,,ბ".*

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N69, ტექნიკური რეგლამენტი „საწარმო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ".*

| N | გაცემული მითითება | შემოწმების შედეგი | ვადა/თარიღი (ივსება დადგენილ ვადაზე/თარიღზე ადრე გამოსწორების შემთხვევაში) |
|---|---|---|---|
| 1 | მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეაფასეთ რისკი, გაატარეთ მაკორექტირებელი ღონისძიებები, განაახლეთ რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი დადგენილ ვადებში და მიიღეთ შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:<br>ა) იზრუნეთ არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;<br>ბ) შეაფასეთ ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;<br>გ) იზრუნეთ საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;<br>დ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;<br>ვ) შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება სამუშაო სივრცეში არსებული ყველა საფრთხე, მასთან დაკავშირებული რისკი და მაკორექტირებელი ღონისძიებები. გაწერეთ დოკუმენტის გადახედვის ვადები.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტები: „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“.* | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |
| 2 | საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყავით დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიაწოდება:<br>ა) შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი და სხვა ნორმების, ასევე უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;<br>ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;<br>გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.<br><br>საწარმოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყავით: რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური სწავლება ან ინსტრუქტაჟი;<br>*„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 5, მე-2 პუნქტი, ქვეპუნქტები: „ა“, „ბ“, „გ“, „დ“; მუხლი 5, მე-3 პუნქტი; მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „თ“; მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი „ბ“.* | | |
| 3 | გაზომეთ ფიზიკური ფაქტორები: ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, ტემპერატურა, ტენიანობა, (მათ შორის ბუნებრივი ვენტილაციის პირობებში) უზრუნველყავით, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას.<br>*„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 5, პირველი პუნქტი, „გ“, „ზ.ა“ქვეპუნქტები.*<br>*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N69, ტექნიკური რეგლამენტი - საწარმო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.* | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |
| 4 | დასაქმებულები და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი აღჭურვეთ, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა;<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი „ზ“.* | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | არ დაუშვათ სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრეთ დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.<br>*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 6, მ-3 პუნქტი, ქვეპუნქტი ,,ი".* | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |
| 6 | შეიმუშავეთ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა. ყურადღება მიაქციეთ საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ მისაღებ ზომებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში.<br>*,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 5, პუნქტი 5, ქვეპუნქტი ,,გ".* | **მითითება შესრულდა** | **02.07.2021წ** |
| 7 | შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ შემოწმების დოკუმენტირება.<br>*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 1 „ვ.ა" ქვეპუნქტი.* | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |
| 8 | საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ზომები; უზრუნველყავით, საჭირო შემთხვევაში, განახორციელოთ აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო და სამაშველო სამსახურებთან.<br>ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების ადგილებში გააკარით აბრები სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ტელეფონის ნომრის აღნიშვნით, რათა საშიშ შემთხვევებში მოხდეს მყისიერი კომუნიკაცია შესაბამის ორგანოსთან.<br>*საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 8, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი ,,ა", ,,ბ".* | **მითითება შესრულდა** | **22.07.2021წ** |

**შემოწმების აქტის შემდგენი** (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა): საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შრომის ინსპექტორი) [redacted] და მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შრომის ინსპექტორი) [redacted]

---

სამართალდამრღვევი პირის მიერ შემოწმების აქტის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

---

**უფლებამოსილი პირ(ები)ი:** [redacted]

**სამართალდამრღვევი:** [redacted]